



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 57

12 07 2017 წელი

**მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის
 4 ივლისის N7978-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ**

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 12 ივლისის სხდომის 12 ოქმის მე-12 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 4 ივლისის N03/7978 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 2017 წლის 4 ივლისის N3008-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით უვადოდ სარგებლობაში გადასცეს საქართველოს საპატრიარქოს მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას ქუთლიარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 21 768 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N83.07.11.269) 15 040 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი